ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №15

09 სექტემბერი 2022 წელი

13:00 საათი

ა/წ 09 სექტემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ირაკლი ხელაძე ;
3. ანა კაკაბაძე;
4. ლევან აბაშიძე;
5. ნათია მოდებაძე;
6. ვახტან სურგულაძე;
7. ლილე ლიპარტელიანი;
8. მამუკა გუგეშაშვილი;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

სხდომის დღის წესრიგი:

- ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა მომხსენებელს გელა ჩივიაშვილს.

მომხსენებლმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია ახალი ქვეპროგრამის შესახებ, რომელიც ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით უზრუნველყოფას მოიცავს. აქვე ისაუბრა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თაობაზე, რომელიც გაფორმდა 2022 წლის 05 სექტემბერს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და ა(ა)იპ ,,წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიურ ჰოსპისს" შორის. მემორანდუმის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური პასუხისმგებლობას იღებს უზრუნველყოს ჰოსპისისათვის მემორანდუმის მოქმედების განმავლობაში თვეში 7575 (შვიდი ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობის თანხის გამოყოფა მემორანდუმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების შესასრულებლად. მემორანდუმის თანახმად ჰოსპისი პასუხისმგებლობას იღებს უზრუნველყოს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი და სხვა პრობლემების მქონე პირების ღამის განმავლობაში განთავსება ჰოსპისში და საჭიროების შემთხვევაში მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (ყოველთვიურად არაუმეტეს 300 ბენეფიციარისა), გამოკვება, საყოფაცხოვრებო და პირადი ჰიგიენის ნივთების მიწოდება, ჰოსპისი ასევე ვალდებულია ბენეფიციართა სანიტარულ მომსახურებაზე, პირადი ჰიგიენის ზედამხვედველობაზე და საჭიროების შემთვევაში სხვა სტრუქტურაში გადამისამართებაზე.

კომისიის თვმჯდომარემ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა რომ, ქალაქ თბილისის მერიის ინიციატივით და დაფინანსებით მნიშვნელოვანი ქვეპროგრამის განხორციელება იგეგემება, რომელიც სხვადასხვა პრობლემების მქონე ჩვენს თანამოქალაქეებს სათანადო საცხოვრებელ პირობებს შეუქმნის. ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირები ღამეს აღარ გაათევენ გარე სივრცეში და მათი განთავსება შესაძლებელი იქნება ჰოსპისში, ამასთან მოხდება მათთვის პირველადი დახმარების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში მათი გადამისამართება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. მსგავსი ქვეპროგრამები მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას ემსახურება.

პროგრამის მოცულობა და დაფინანსების ოდენობა შემუშავდა სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

კომისიის წევრი ვახტნაგ სურგულაძე დაინტერესდა ალკოჰოლოური თრობის ქვეშ მყოფი პირების გადაყვანა ხომ არ მოხდება მათი ნების საწინააღმდეგოდ.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა რომ, პროცესი არ გასცდება სამართლებრივ ჩარჩოებს და პატრული არ მოახდენს გადაყვანას მათი ნების წინააღმდეგ.

კომისიის თვამჯდომარემ და წევრებმა დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი საკითხი.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე